ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 34

17 თებერვალი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლების ჩრდილო-აღმოსავლეთით, დემეტრე თავდადებულის ქუჩასა და მუხათგვერდის სასაფლაოს გზას შორის საუნივერსიტეტო დასახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 62-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №3 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 2 თებერვლის №04/1878 წერილის (AR1273363) შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეთანხმებულ იქნეს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლების ჩრდილო-აღმოსავლეთით, დემეტრე თავდადებულის ქუჩასა და მუხათგვერდის სასაფლაოს გზას შორის საუნივერსიტეტო დასახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1273363 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა)

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი